

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

13 ივლისი 2012 წელი

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2012 წლის 13 ივლისს (ძალაში შესვლის თარიღი).

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ,

მეორეს მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ირინა მილორავას სახით, და

შპს „ენერჯია“, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქ. (ნაკვეთი 4/11) (შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი დირექტორის გაიოზ უგრელიძის სახით,

მუხლი 1.

საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) შეტანილ იქნეს ცვლილება და მემორანდუმის 3.3, და 3.4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.3. ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯიის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯიის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

3.4. კომპანია ვალდებულია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის სრული ოდენობის რეალიზაცია განხორციელოს ესკო-ზე წინასწარ გაფორმებული, ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით და ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რის თაობაზეც კომპანია ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, ხოლო შემდგომ თითოეული ენერგეტიკული წლის (კალენდარული წელი 1 სექტემბრიდან მომდევნო წლის 31 აგვისტოს ჩათვლით) დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, წერილობითი განაცხადით აცნობებს ესკოს შესაბამისი ენერგეტიკული წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული

სრული ელექტროენერჯის ესკოზე გასაყიდ მოცულობას, შესაბამისი პერიოდების მითითებით. ამასთან, ესკო იღებს ვალდებულებას, აღნიშნული 10 წლის განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამომუშავებული და ამ პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ წინასწარ გაცხადებული ელექტროენერჯის რაოდენობა, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ესკოს-ს მიერ ამ პუნქტით და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ელექტროენერჯის ფასი თითოეული წლის ოქტომბრიდან მარტის თვის ჩათვლით განისაზღვრება 6,5 აშშ ცენტის ოდენობით, ხოლო აპრილიდან სექტემბრის თვის ჩათვლით 5 აშშ ცენტის ოდენობით. წინამდებარე 3.4. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებაზე არ ვრცელდება ამ მემორანდუმის 3.6, 3.8 და 3.9 პუნქტების მოქმედება.

3.4.1. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გაყიდვას არ მოახდენს ესკო-ზე, იგი ვალდებულია გადაუხადოს ესკოს 0,01 აშშ დოლარი 1 კვტ/სთ-ზე, ელექტროენერჯის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც გამომუშავებული იქნა ობიექტის მიერ და არ იქნა გაყიდული ესკო-ზე. იგივე წესი ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ ობიექტი, კომპანიის ბრალეული ქმედების შედეგად, ვერ შეძლებს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ესკოსათვის მიწოდებას ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

3.4.2. კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საქართველოს მთავრობის და ესკოს წერილობითი შეტყობინების მეშვეობით უარი განაცხადოს წინამდებარე 3.4. პუნქტით გათვალისწინებულ მის ვალდებულებებზე, რის შემდეგაც კომპანიასა და ესკოს შორის გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება და შესაბამისად, კომპანიისა და ესკოს ქვემოთ მოცემული ვალდებულებები სრულად და სამუდამოდ ითვლება გაუქმებულად:

i. კომპანიის ვალდებულება, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია განახორციელოს ესკო-ზე წინამდებარე 3.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობებით და წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით;

ii. კომპანიის ვალდებულება, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გაყიდვას არ მოახდენს ესკო-ზე, გადაუხადოს ესკოს 0,01 აშშ დოლარი 1 კვტ/სთ-ზე, ელექტროენერჯის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც გამომუშავებული იქნა ობიექტის მიერ და არ იქნა გაყიდული ესკო-ზე;

iii. კომპანიის ვალდებულება გადაუხადოს ესკოს 0,01 აშშ დოლარი 1 კვტ/სთ-ზე იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი, კომპანიის ბრალეული ქმედების შედეგად, ვერ შეძლებს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ესკოსათვის მიწოდებას ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

iv. ესკოს ვალდებულება, ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია ამ მემორანდუმით და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3.4.3. კომპანიის მიერ 3.4.2. პუნქტის შესაბამისად უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, 3.3. პუნქტში აღნიშნული კომპანიის ვალდებულება კვლავ ძალაში იქნება და მითითებული 10 წლიანი პერიოდის დასრულებამდე თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში, ობიექტის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ მყიდველზე, ხოლო წლის სხვა დანარჩენ პერიოდში კომპანია თავისუფალი იქნება ელექტროენერჯის მყიდველის არჩევაში როგორც ადგილობრივ ბაზარზე, აგრეთვე ექსპორტზე.

მუხლი 2.

ა) წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.


ბ) წინამდებარე შეთანხმება ძალაშია საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

გ) წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად.

ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობის სახელით


ხელისმომწერი:



ხელმოწერილია:

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ სახელით


ხელისმომწერი:



ხელმოწერილია:

შპს „ენერჯიას“ სახელით

ხელისმომწერი:





**საქართველოს მთავრობის
განკარგულება**

№1156 2012 წლის 13 ივნისი ქ თბილისი

**საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს
დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ**

1. მოწინებულ იქნეს „საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ“ შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკისა და ზუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.

პრემიერ-მინისტრი

